„ჰორიზონტი ევროპა“ პროგრამის

2026 წლის დაფინანსების შესაძლებლობები

მე-2 კლასტერის: კულტურა, შემოქმედება და ინკლუზიური საზოგადოება

მიმართულებით

CALL 2026
Call - Culture, Creativity and Inclusive Society 2026
HORIZON-CL2-2026

თამარ ბერბერაშვილი
ეროვნული საკონტაქტო პირი

მე-2 კლასტერი აერთიანებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (SSH)

დაწყება: 2026 წლის 12 მაისი,
დასრულება: 2026 წლის 23 სექტემბერი

მე-2 კლასტერის მიმართულებები:

- ✓ 1. დემოკრატიისა და მმართველობის შესახებ ინოვაციური კვლევები (DEMOCRACY) - 10 საკონკურსო თემა;
- ✓ **2. ინოვაციური კვლევები ევროპული კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ (HERITAGE) - 7 საკონკურსო თემა;**
- ✓ 3. სოციალურ და ეკონომიკურ ტრანსფორმაციების შესახებ ინოვაციური კვლევები (TRANSFO) - 10 საკონკურსო თემა.

[საშუამავლო ღონისძიება]

[2026-2027 წლის სამუშაო პროგრამა]

პროექტის ტიპი	**RIA** **კვლევითი და ინოვაციური ქმედებები**	**IA** **ინოვაციური ქმედებები**	**CSA** **კოორდინაციისა და მხარდაჭერის ქმედებები**
მიზანი	ახალი ცოდნა / კვლევა **მიზანი:** ახალი თეორიების შემუშავება, არსებული პრობლემების სიღრმისეული შესწავლა ან ახალი ტექნოლოგიების /მეთოდოლოგიების ტესტირება ლაბორატორიულ პირობებში. **მაგ.:** კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ციფრული ტრანსფორმაცია დემოკრატიულ პროცესებზე.	პრაქტიკული გამოყენება / ინოვაცია ორიენტირებულია პროტოტიპირებაზე, ბაზარზე გასვლაზე, კონკრეტული პროდუქტის ან სერვისის დანერგვაზე. **მიზანი:** არსებული კვლევის შედეგების გარდაქმნა რეალურ გეგმებად, სქემებად ან პროდუქტებად. მოიცავს დემონსტრირებას, პილოტირებას და მასშტაბირებას. **მაგ.:** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ციფრული რესტავრაციისთვის ახალი ტექნოლოგიური პლატფორმის პრაქტიკული დანერგვა.	ქსელური მუშაობა / მხარდაჭერა ეს პროექტები არ აფინანსებს უშუალოდ კვლევას არამედ აფინანსებს **თანამშრომლობის ქსელების შექმნას** და პოლიტიკის განსაზღვრაში დახმარებას. **მიზანი:** სტანდარტიზაცია, გამოცდილების გაზიარება, კონფერენციების მოწყობა, კვლევის შედეგების პოპულარიზაცია და სტრატეგიული გზამკვლევების შექმნა. **მაგ.:** მუზეუმების კურატორების ქსელის შექმნა საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.
დაფინანსება	100%	არამომგებიანი ორგანიზაციებისთვის (უნივერსიტეტები, ააიპ-ები) – **100%**, მომგებიანი სექტორისთვის (ბიზნესი) – **70%**.	100%
ტექნოლოგიური მზაობის დონე (TRL)	**დაბალი (1-5)**	**მაღალი (6-8)**	**-**

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-02: Understanding the forms of local democracy in low-income and low-middle income countries

ადგილობრივი დემოკრატიის ფორმების შესწავლა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში

საკონკურსო თემის მიზანი: **მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიული ჩარჩოს შემუშავება,** რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სამოქალაქო თემების როლს დემოკრატიული მდგრადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში.

მოსალოდნელი შედეგები

- **დემოკრატიული მმართველობის მხარდაჭერის სისტემური მოდელების შექმნა,** რომლებიც მყარ სამეცნიერო მტკიცებულებებს ეფუძნება.
- **მოსახლეობაში არსებული რესურსების, საჭიროებებისა და** რეალური გავლენის მქონე **აქტორების იდენტიფიცირება** დემოკრატიული პრაქტიკების გასაძლიერებლად.
- **მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შექმნა** არასტაბილურ რეგიონებში მუშაობისთვის, სადაც ცენტრალური ხელისუფლება სუსტია ან ვერ აკონტროლებს ტერიტორიას.
- **დეცენტრალიზაციის გავლენის შეფასება.** როგორ ზრდის ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება მოქალაქეთა ნდობას დემოკრატიული სისტემის მიმართ.
- **საჯარო სერვისებისა და დემოკრატიული განწყობების ურთიერთკავშირი:** დასაბუთება, რომ გამართული მუნიციპალური მომსახურება პირდაპირ განაპირობებს მოსახლეობის მხარდაჭერას დემოკრატიული ღირებულებებისადმი.

შინაარსი

- **დემოკრატიული ღირებულებების დაცვა** "ქვევიდან ზევით" ანუ ადგილობრივ დონეზე, როცა ცენტრალური ხელისუფლება სუსტია ან ავტორიტარული ტენდენციები აქვს.
- **ევროკავშირის თანამშრომლობა ადგილობრივ ადმინისტრაციებთან,** როცა ცენტრალური მთავრობა ვერ აკონტროლებს სიტუაციას.

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ € (3 პროექტი)**
- **თითო: €3.50-€4.00 მლნ €**

მონაწილე ორგანიზაციები:

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საერთაშორისო პარტნიორები, ექსპერტები პოლიტიკის მეცნიერების, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და გენდერული კვლევების სფეროდან,

პროფკავშირები, ადგილობრივი მოსახლეობა,

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-03: Government in transition – how governments change the way they work and prepare the civil service for the future

მთავრობა ტრანსფორმაციის პროცესში: როგორ ცვლიან მთავრობები მუშაობის სტილს და როგორ ამზადებენ საჯარო სამსახურს მომავლისთვის

საკონკურსო თემის მიზანი: **სახელმწიფო მმართველობის ინოვაციები და საჯარო სამსახურის რეფორმირება.** შიდასახელმწიფოებრივი ინოვაციების გამოვლენა (მაგ., ციფრული არქივები, შიდა კომუნიკაციის აპლიკაციები ან მართვის ავტომატიზებული სისტემები) და თანამედროვე გამოწვევების (კრიზისები, AI, ნდობის დაკარგვა) საპასუხო სტრატეგიების შემუშავება.

მოსალოდნელი შედეგები

- **ინფორმაციული ბიულეტენები (Info Sheets):** თითოეული ქვეყნის ინოვაციების და საუკეთესო პრაქტიკების მიმოხილვა.
- **პოლიტიკის რეკომენდაციები:** როგორც ეროვნული მთავრობებისთვის, ისე ევროკავშირის დონეზე.
- **MOOC (ონლაინ კურსი):** მასშტაბური სასწავლო კურსი საჯარო მოხელეებისთვის რეალური შემთხვევების გამოყენებით.
- **გამოცდილების გაზიარების პლატფორმა:** ქსელი, რომელიც წევრ და ასოცირებულ ქვეყნებს შორის ცოდნის მიმოცვლას შეუწყობს ხელს.

პირობები

- **RIA**
- **8 მლნ € (2 პროექტი)**
- **თითო: €3.50-€4.00 მლნ**

მონაწილეები ორგანიზაციები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები, სახელმწიფო მართვის სკოლები,

ინოვაციების სააგენტოები, საკონსულტაციო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები

შინაარსი. სახელმწიფო მმართველობის ტრანსფორმაციის კვლევა სამი ძირითადი მიმართულებით:

1. **სტრატეგიული მართვა:** გადასვლა მოქნილ და პროგნოზირებად მოდელზე, სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში AI და მონაცემთა ანალიზი მონაწილეობს.
2. **სერვისების განვითარება:** პოლიტიკის შექმნა სისტემური ხედვითა და მოქალაქეების უშუალო ჩართულობით, რომ რეფორმები რეალურ მტკიცებულებებს ეფუძნებოდეს.
3. **საჯარო მოხელეთა გაძლიერება:** ბიუროკრატიული გარემოს შეცვლა ინოვაციური კულტურით, მოხელეების გადამზადება და საჯარო სამსახურის მიმზიდველობის გაზრდა ახალი თაობისთვის.

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-04: Sustainable paths to media viability

მდგრადი გზები მედიის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისთვის

საკონკურსო თემის მიზანი: **მედიის ციფრული ტრანსფორმაცია და გაძლიერება.** სოციალური მედიის გავლენის შესწავლა და **AI**-ის ეპოქაში მედიის ეკონომიკური გ[illegible]რჩენა.

მოსალოდნელი შედეგები

- **ციფრული ტრანსფორმაცია:** ახალი ბიზნეს მოდელების შექმნა, რომლებიც მედიას უფრო მედეგს გახდის.
- **მოქალაქეების გაძლიერება:** განსაკუთრებით მათთვის, ვინც ინფორმაციულ ვაკუუმშია, რომ მიიღონ გადამოწმებული ინფორმაცია.
- **ახალ მედია-კრეატორებთან (ინფლუენსერებთან) მუშაობა:** მათი ჩართვა გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის სტანდარტებში.

შინაარსი

ა) კონტენტის ვერიფიკაცია და ფილტრაცია: უნდა შეიქმნას

- ✓ **მეთოდები,** რომლებიც „გამოიცნობს“ ჟურნალისტური სტანდარტით შექმნილ კონტენტს (მაგ., ნდობის ინდიკატორები, ბრაუზერის გაფართოებები);
- ✓ **ალგორითმები,** რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ ხარისხიან ინფორმაციას.

ბ) AI და შემოსავლები:
AI-ის გამოყენება ჩატბოტების და საძიებო ხელსაწყოების შესაქმნელად.
დინამიური ფეივოლები (paywalls), რეკლამის ოპტიმიზაცია და საავტორო უფლებებიდან შემოსავლების მართვა.

გ) მომხმარებლის ჩართულობა და ქცევითი მეცნიერება:
მომხმარებელზე ორიენტირებული დიზაინი.
მათი აქტიური ჩართვა **პასუხისმგებლიანი, სანდო და ეთიკური ჟურნალისტიკის ფარგლებში.**

პირობები

- **IA**
- **12 მლნ € (3 პროექტი)**
- **თითო: €3.50-€4.00 მლნ**

მონაწილე

ორგანიზაციები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები: ქცევითი მეცნიერების ექსპერტები, სოციოლოგები და მედიამკვლევრები.
მედია ორგანიზაციები: გაზეთები, ონლაინ გამოცემები, ტელევიზიები, სარეკლამო ტექნოლოგიები;
კონტენტის შემქმნელები: ინფლუენსერები და ონლაინ პლატფორმები;
ტექნოლოგიური კომპანიები/სტარტაპები: ვინც შექმნის AI მოდელებს, ბრაუზერის გაფართოებებს და ალგორითმებს.

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-05: Research and Innovation Network for a Union of Equality

კვლევისა და ინოვაციის ქსელი თანასწორობის კავშირისთვის

კონკურსის მიზანია **საერთაშორისო კონსორციუმის ჩამოყალიბება,** რომელიც 4 წლის განმავლობაში იფუნქციონირებს, როგორც **თანასწორობისა და დემოკრატიის კვლევების წამყვანი ევროპული ჰაბი**.

მისი საქმიანობა მიმართული იქნება აკადემიური ცოდნის პოპულარიზაციისა და პოლიტიკის დღის წესრიგში ინტეგრირებისკენ, ასევე სამეცნიერო თავისუფლებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების დაცვისკენ.

მოსალოდნელი შედეგები

- **პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა გაძლიერება.**
- **მკვლევრების პოტენციალის ზრდა.**
- **მოქალაქეების ჩართულობა და გაძლიერება.**

შინაარსი

- **ონლაინ პლატფორმის შექმნა**, სადაც თავმოყრილი იქნება ინსტრუმენტები, ტრენინგები, მონაცემები და მეთოდოლოგიები თანასწორობის შესახებ.
- **ყოველწლიური ფორუმის ორგანიზება** - წელიწადში ერთხელ თემატური ფორუმების გამართვა, სადაც პოლიტიკოსები და დაინტერესებული მხარეები ფიზიკურად შეხვდებიან ერთმანეთს.
- ქცევითი ანალიზის საფუძველზე **პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება** ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისთვის.
- **მექანიზმების შემუშავება იმ მკვლევართა დასაცავად**, რომლებიც დემოკრატიისა და თანასწორობის საკითხებზე მუშაობენ და ამის გამო განიცდიან თავდასხმას, სიძულვილის ენას ან შევიწროებას.
- აუცილებელია **წინა წლებში დაფინანსებული პროექტების შედეგების გამოყენება და პოპულარიზაცია.**

პირობები

- **CSA**
- **4.5 მლნ € (1 პროექტი)**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები;
ტექნოლოგიური კომპანიები: სარეკლამო (Ad-tech) და AI დეველოპერები;

მედიის სხვადასხვა სექტორი.

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-06: Governing global commons sustainably

გლობალური საერთო სიკეთეების მდგრადი მართვა

„გლობალური საერთო სიკეთეები“ - ბუნებრივი რესურსები და ტერიტორიები, რომლებიც **არცერთ კონკრეტულ ქვეყანას არ ეკუთვნის**, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთელი კაცობრიობისთვის (მაგ. **კლიმატი, ბიომრავალფეროვნება, ანტარქტიდა, კოსმოსი).**

მოსალოდნელი შედეგები

- **პრობლემის სიღრმისეული გააზრება;**
- **მეცნიერებისა და პოლიტიკის დაკავშირება** რიგითი **მოქალაქეების** ჩართულობით;
- **მართვის ახალი მეთოდები და კონცეფციები,** რომლებიც რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაშიც კი შეინარჩუნებს **წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას** და გააძლიერებს ევროკავშირის **სამეცნიერო დიპლომატიას**.

შინაარსი: მხოლოდ ერთი მიმართულება:

A: კლიმატის მართვა. კლიმატის ცვლილების გარშემო არსებული პოლიტიკური დავების შესწავლა. „სამეცნიერო დიპლომატიის“ გამოყენება, რომ ქვეყნები შეთანხმდნენ მაგ. ემისიების შემცირებაზე.

B: ბიომრავალფეროვნების მართვა. ბიომრავალფეროვნების პლატფორმის გაძლიერება და რეკომენდაციების შემუშავება, საზოგადოებისა და მკვიდრი მოსახლეობის ჩართულობა ბუნების გადარჩენაში.

C: საერთო სივრცეების მართვა: როგორიცაა: **ოკეანეები, პოლარული რეგიონები, კოსმოსი (მათ შორის მთვარე და დედამიწის ორბიტა).**

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ € (3 პროექტი)**
- **თითო: €3.50-€4.00 მლნ**

მონაწილეები

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები.

წახალისებულია საერთაშორისო პარტნიორების ჩართვა.

პოლიტიკოსები, დიპლომატები.

მკვიდრი მოსახლეობა.

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-07: Supporting post-conflict democracy and reconstruction

პოსტკონფლიქტური შემდგომი დემოკრატიისა და აღდგენის მხარდაჭერა

საკონკურსო თემის მიზანი: **ომიდან მდგრად მშვიდობასა და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის კომპლექსური მოდელების შემუშავება.**

მოსალოდნელი შედეგები

- **პოსტკონფლიქტური აღდგენის სტრატეგიული ჩარჩოს შემუშავება:** მდგრადი მშვიდობის უზრუნველყოფა და ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვა სარეაბილიტაციო პროცესების გამჭვირვალობისთვის.
- პოსტკონფლიქტური რეგიონების მხარდაჭერის **პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება.**
- **ადგილობრივი ექსპერტული მხარდაჭერა სამოქალაქო და საჯარო სექტორისთვის:** პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება (მასწავლებლების, ჟურნალისტებისა და საჯარო მოხელეებისათვის) შერიგების პროცესების ეფექტური მართვისა და სოციალური რეინტეგრაციის მიზნით.
- **სერვისების შექმნა** ვეტერანებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

შინაარსი: პროექტმა უნდა მოიცვას ოთხი მთავარი მიმართულება:

- **ვეტერანებისა და დაზარალებულების რეინტეგრაცია:** ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა.
- **მექანიზმების შემუშავება** გამჭვირვალობისა და ანტიკორუფციული ზომების გასაძლიერებლად.
- **ისტორიის ინტერპრეტაციის გავლენა** კონფლიქტის დინამიკაზე.
- ეთნიკური დაპირისპირების შემდგომი **შერიგების მექანიზმები და სტრატეგიები.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **ქალების როლს** მშვიდობის მშენებლობაში.

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ € (3 პროექტი)**
- **თითო: €3.50-€4.00 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; სერვისის მიმწოდებლები, რომლებიც მუშაობენ ვეტერანებთან და დევნილებთან. **ადგილობრივი თვითმმართველობები და სკოლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები.**

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-08: Electoral integrity in the digital context

საარჩევნო კეთილსინდისიერება ციფრულ კონტექსტში

საკონკურსო თემის მიზანი: **არჩევნების დაცვა ციფრულ ეპოქაში.** სისტემებისა და რეგულაციების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებს.

მოსალოდნელი შედეგები

- გადაწყვეტილების მიმღები პირების აღჭურვა **მეცნიერული ცოდნითა და ინსტრუმენტებით,** ციფრული საარჩევნო პროცესების მარეგულირებელი ეფექტური კანონმდებლობის შესაქმნელად.
- **საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელოების მომზადება** ახალი ტექნოლოგიების ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად.
- **AI-ის გამოყენებით წარმოებული პოლიტიკური რეკლამის გამჭვირვალობის მექანიზმების დანერგვა,** რაც ამომრჩეველს საშუალებას მისცემს, იდენტიფიცირება გაუკეთოს რეკლამის დამკვეთსა და ალგორითმულ მანიპულაციებს.

შინაარსი:

- **ალგორითმების აუდიტისა და გამჭვირვალობის მექანიზმების შექმნა.**
- სტრატეგიების შემუშავება **უცხოური ჩარევის** გამოსავლენად და აღსაკვეთად.
- კიბერუსაფრთხოების სფეროში წახალისებულია **პოსტ-კვანტური კრიპტოგრაფიის კვლევა,** როგორც მომავლის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მიმართულება.
- **მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი დაცვის მექანიზმების გაძლიერება.** საარჩევნო კამპანიების პერიოდში სიძულვილის ენისა და მუქარის შემცველი რიტორიკის გავლენის სისტემური ანალიზი და პრევენციული სტრატეგიების შემუშავება
- **სოციალური მედიის კომპანიებთან თანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბება** პოლიტიკური რეკლამის გამჭვირვალობის სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დასაცავად.

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ € (3 პროექტი)**
- **თითო: €3.50-€4.00 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები;

საარჩევნო ადმინისტრაციები;
ტექნოლოგიური კომპანიები;

მედია ორგანიზაციები;
სამოქალაქო საზოგადოება.

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-09: Citizenship education as part of lifelong learning

სამოქალაქო განათლება, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ნაწილი

საკონკურსო თემის მიზანი: **უწყვეტი სამოქალაქო განათლების სისტემური მხარდაჭერა.** ზრდასრულთა და პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და უფლებრივი ცნობიერების მუდმივ განვითარებას დემოკრატიული მდგრადობისთვის.

მოსალოდნელი შედეგები

- გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და პედაგოგების უზრუნველყოფა **პრაქტიკული ინსტრუმენტებითა და სტრატეგიული გაიდლაინებით**, ზრდასრულთა განათლების სისტემაში სამოქალაქო კომპონენტის ინტეგრირებისთვის.
- მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის **ადაპტირებული თანამედროვე სასწავლო კურიკულუმების შემუშავება და პილოტირება**.
- დემოკრატიულ პროცესებში **მოქალაქეთა ინკლუზიური ჩართულობის გაძლიერება** და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის დონის ამაღლება.

პირობები

- **RIA**
- **16 მლნ € (4 პროექტი)**
- **თითო: €3.50-€4.00 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; პროფესიული კოლეჯები, ზრდასრულთა განათლების ცენტრები, მკვლევრები; სამოქალაქო საზოგადოება, ტექნოლოგიური პარტნიორები.

შინაარსი:

პროექტმა უნდა აირჩიოს **ერთ-ერთი** მიმართულება:

1. **პროფესიული განათლება და გადამზადება:** სტუდენტების პოლიტიკური ცნობიერების გაზრდა.
2. **ზრდასრულთა განათლება:** აუცილებელია უფროსებისთვის განკუთვნილი პროგრამების განვითარება, რომ ზრდასრული მოსახლეობა უფრო აქტიურ და ინფორმირებულ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს.
3. **ციფრული და მედია წიგნიერება:** საზოგადოების მედიაწიგნიერების დონის ამაღლება დეზინფორმაციისადმი მედეგობის გაზრდის მიზნით და ციფრული დემოკრატიული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკული უნარების განვითარება.
4. **ხანდაზმულთა ჩართულობა:** საჭიროა ისეთი მიდგომების შემუშავება, რომლებიც პროცესებში ჩართავენ იმ ადამიანებს, ვისაც ტექნოლოგიების გამოყენება უჭირს.
5. **ინკლუზიურობა:** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გენდერულ ასპექტებს და მარგინალიზებული ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი მონაწილეობა.

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-10: Digital and media literacy as drivers for democratic and civic resilience

ციფრული და მედიაწიგნიერება, როგორც დემოკრატიული და სამოქალაქო მედეგობის მამოძრავებელი ძალა

ციფრული და მედიაწიგნიერება არის უნარი, რომელიც მოქალაქეებს ეხმარება ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზში, დეზინფორმაციის ამოცნობასა და ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებაში.

მოსალოდნელი შედეგები

- გადაწყვეტილების მიმღები პირების აღჭურვა **მტკიცებულებებზე დაფუძნებული ხედვით,** რომ **შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც გაზრდის საზოგადოების მედეგობასა და მდგრადობას სისტემური კრიზისების მიმართ.**
- **მოქალაქეთა მედიაწიგნიერების დონის ამაღლება და კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარება,** რაც უზრუნველყოფს ციფრულ სივრცეში დეზინფორმაციისა და მანიპულაციური გავლენებისგან დაცულ ნავიგაციას.
- **კომპლექსური ინსტრუმენტების შექმნა დეზინფორმაციული ნაკადების ნეიტრალიზაციისთვის,** საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებისა და ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტების სინთეზით.

შინაარსი:

ძომხმარებლის ქცევის შესწავლა: ინფორმაციის ძიების თავისებურებებისა და ემოციური მანიპულაციებისადმი მიდრეკილების მიზეზების ანალიზი.
ალგორითმების გავლენა: სოციალური ქსელების როლის დადგენა საზოგადოებრივ პოლარიზაციასა და ყალბი ამბების გავრცელებაში.
მედიაწიგნიერების რეფორმა: არსებული ინიციატივების კრიტიკული შეფასება და სწავლების ინოვაციური მეთოდების შემუშავება.
ტექნოლოგიური მონიტორინგი: ბუნებრივი ენის დამუშავების მეთოდებით ბოტების, ტროლებისა და ვიზუალური მანიპულაციების გამოვლენა.
მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება: დეზინფორმაციის მიმართ ყველაზე მგრძნობიარე აუდიტორიის კვლევა.

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ € (3 პროექტი)**
- **თითო: €3.50-€4.00 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები;

პროფესიული კოლეჯები, ზრდასრულთა განათლების ცენტრები, სამოქალაქო საზოგადოება, ტექნოლოგიური პარტნიორები.

HORIZON-CL2-2026-01-HERITAGE-01: “Artistic intelligence” : harnessing the power of the arts to address complex challenges, enhance soft skills and boost innovation and competitiveness

შემოქმედებითი ინტელექტი: ხელოვნების ძალის გამოყენება რთული გამოწვევების გადასაჭრელად, რბილი უნარების (პიროვნული და სოციალური უნარები**) გასაუმჯობესებლად და ინოვაციის გასაზრდელად**

საკონკურსო თემის მიზანია დააკავშიროს **ხელოვანები და შემოქმედები** მეცნიერებთან და ტექნოლოგიურ სექტორთან.

მოსალოდნელი შედეგები

- **პოლიტიკოსებისთვის** შეიქმნება გზამკვლევი, როგორ გამოიყენონ ხელოვნება ინოვაციების სტიმულირებისთვის.
- **ბიზნესისთვის** დადასტურდება, რომ ხელოვნებასთან კოლაბორაცია ზრდის კონკურენტუნარიანობას.
- **ხელოვანებისთვის** გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და დაფინანსების წყაროები ტექნოლოგიურ სექტორში.

შინაარსი: **მხოლოდ ერთი** ქვემოთ ჩამოთვლილი ორი მიმართულიდან

1: რბილი უნარების განვითარება: მეთოდების შემუშავება, თუ როგორ განავითარონ **ხელოვანებმა** სხვა პროფესიის ადამიანებში (საჯარო მოხელეებში, მენეჯერებში, მოსწავლეებში) ისეთი **რბილი უნარები**, როგორიცაა: კრეატიულობა; კრიტიკული აზროვნება; ემოციური ინტელექტი; პრობლემის გადაჭრის უნარი.
(მაგ: თეატრალური მეთოდები მენეჯერებისთვის, ვიზუალური ხელოვნება სკოლებში).

2: პილოტები ახალ ტექნოლოგიებში: ხელოვანებისა და შემოქმედების პირდაპირი ჩართვა ტექნოლოგიურ ლაბორატორიებში. უნდა შეიქმნას მინიმუმ **3 საპილოტე პროექტი**, სადაც ისინი იმუშავებენ ისეთ ტექნოლოგიებზე, როგორიცაა: ვირტუალური და გავრცობილი რეალობა (VR/XR); შთამბეჭდავი ხელოვნება; ადამიანზე ორიენტირებული AI.
ხელოვანების ჩართვა ტექნოლოგიურ პროცესს გახდის უფრო ეფექტურს და საზოგადოებისთვის მისაღებს.

პირობები

- **RIA**
- **15 მლნ € (3 პროექტი)**
- **თითო: €4.50-€5.00 მლნ**

მესამე მხარის დაფინანსება მაქსიმუმ **60,000 ევრო** თითოეულზე.

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; ხელოვანები და შემოქმედები, ტექნოლოგიური კომპანიები,

საჯარო სექტორი.

HORIZON-CL2-2026-01-HERITAGE-02: Boosting creative startups for disruptive innovation

შემოქმედებითი სტარტაპების გაძლიერება გარღვევის მომხდენი ინოვაციებისთვის

პროექტის ფარგლებში კომპანიამ უნდა შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც **ახალ ბაზარს შექმნის** ან **ძველს ძირფესვიანად შეცვლის**.
კრეატიული სტარტაპი 4 წლის განმავლობაში უნდა იქცეს დიდ ბიზნესად ან ტექნოლოგიურ პიონერად (კრეატიული ინდუსტრიებია მაგ.დიზაინი, მედია, მოდა, არქიტექტურა, თამაშები და ა.შ.).

მოსალოდნელი შედეგები

- პოლიტიკოსების, ინვესტორებისა და დონორი ორგანიზაციების უზრუნველყოფა სიღრმისეული ანალიტიკითა და მტკიცებულებებით **კრეატიული ეკოსისტემის იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ სტარტაპების დინამიურ ზრდას.**
- ინდუსტრიის ლიდერებისა და ინვესტორების მიერ სტარტაპების განვითარებაზე ორიენტირებული **ეფექტური მეთოდოლოგიების შემუშავება და მათი პრაქტიკული დანერგვა სამეწარმეო გარემოში.**
- ინოვაციების დანერგვისა და სტარტაპების მასშტაბირების **წარმატებული შემთხვევების ანალიზი** და მათი საეტაპო მოდელებად ჩამოყალიბება.

დამატებითი შედეგი (თქვენ მიერ არჩეული ვარიანტის მიხედვით):

ა: მხარდაჭერილი სტარტაპების ტრანსფორმაცია Scaleup-ფაზაში, რაც გულისხმობს მინიმუმ ერთი კომპანიის მიერ ზრდის მდგრადი ტემპისა და გაფართოებული საბაზრო წილის მიღწევას (სტარტაპიდან სკეილაპამდე).

ბ: ინოვაციის რეალიზება: მინიმუმ ერთი კომპანიის მიერ **Breakthrough (გარღვევის მომხდენი)** ტექნოლოგიური პროდუქტის წარმატებული კომერციალიზაცია და ბაზარზე პოზიციონირება.

შინაარსი:

- **ძაღალტექნოლოგიური აქსელერაციის პროგრამების ფორმირება** და **ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიული პლატფორმების შექმნა,** რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნეს-პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას.
- **3 საპილოტე გამოცდა:** შექმნილი მეთოდით სტარტაპები უნდა „გაიზარდოს“ რეალურ გარემოში .

პირობები

- **IA**
- **12 მლნ € (2 პროექტი)**
- **თითო: €5-6 მლნ**

მესამე მხარის დაფინანსება მაქსიმუმ **60,000 ევრო** თითოეულზე.

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; ბიზნეს აქსელერატორები, ინვესტორთა ქსელები, შემოქმედებითი ჰაბები, ტექნოლოგიური პარტნიორები.

HORIZON-CL2-2026-01-HERITAGE-03: AI integration in CCSI work practice: catalysing innovation and competitiveness

AI-ის ინტეგრაცია კულტურული და შემოქმედებითი სექტორების (CCSI) სამუშაო პრაქტიკაში: ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის კატალიზება

საკონკურსო თემის მიზანი: **შემოქმედებითმა ინდუსტრიების** (მუზეუმები, დიზაინი, მუსიკა, კინო, მედია, თამაშების ინდუსტრია, არქიტექტურა და ა.შ.) **ტექნოლოგიური ოპტიმიზაცია**: ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება რუტინული პროცესების ავტომატიზაციის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის კონცენტრირებას მაღალკრეატიულ და სტრატეგიულ ამოცანებზე.

მოსალოდნელი შედეგები

- **AI-ტექნოლოგიების უსაფრთხო და ეთიკური ინტეგრაციის სტრატეგიული გაიდლაინების შემუშავება** პოლიტიკის შემქმნელებისა და ინდუსტრიის ლიდერებისთვის.
- მცირე და საშუალო შემოქმედებითი ორგანიზაციებისთვის **ხელმისაწვდომი და ადაპტირებული AI-ინსტრუმენტების შექმნა,** რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას.
- AI-სისტემებში კულტურული მემკვიდრეობის, **იდენტობისა და საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმების ჩამოყალიბება.**

შინაარსი: **ერთი ან ორივე** ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულება:

1: ბიზნეს-ინოვაცია: მასშტაბური საპილოტე პროექტების შექმნა, რომლებიც დაეხმარება სექტორს ახალი პროდუქტების შექმნაში. ისეთი სფეროებისთვის, რომლებიც ჯერ კარგად ვერ იყენებენ AI-ს, ბიზნეს-მოდელების გაუმჯობესება და მოგების ზრდა.

2: სოციალური ინოვაცია და ინკლუზია: AI ინსტრუმენტების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს კულტურულ/ენობრივ მრავალფეროვნებას და ხელმისაწვდომობას.
მოწყვლადი ჯგუფების ჩართვა. მაგ.: AI, რომელიც ეხმარება უსინათლოებს ხელოვნების აღქმაში, ან AI, რომელიც იცავს მცირერიცხოვან ენებს.

პირობები

- IA
- 15 მლნ € (3 პროექტი)
- **თითო: €4-5 მლნ**

მესამე მხარის დაფინანსება მაქსიმუმ **60,000 ევრო** თითოეულზე საპილოტე პროდუქტების შესაქმნელად.

მონაწილეები: **უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები;** CCSI წარმომადგენლები, ტექნოლოგიური დეველოპერები.

HORIZON-CL2-2026-01-HERITAGE-04: Towards a fair and transparent market for cultural and creative content in the era of generative AI

სამართლიანი და გამჭვირვალე გარემოს შექმნა კულტურული და შემოქმედებითი პროდუქტებისთვის გენერაციული AI-ის ეპოქაში

საკონკურსო თემის მიზანი: **საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმების ტრანსფორმაცია გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში.** შემოქმედთა ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი გარანტიების შემუშავება და AI-მოდელების სწავლებაში გამოყენებული კონტენტის ეთიკური მონეტიზაციის სისტემების ფორმირება.

მოსალოდნელი შედეგები

- **ავტორთა კომპენსაციის სამართლებრივი ჩარჩოსა და ტექნოლოგიური მოდელების შემუშავება** AI-სისტემების მიერ საავტორო კონტენტის გამოყენების სანაცვლოდ.
- **ციფრული მარკირების და წარმოშობის გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგვა,** რაც უზრუნველყოფს ადამიანის მიერ შექმნილი და AI-გენერირებული პროდუქტის მკაფიო დიფერენცირებას.
- **ციფრული ინსტრუმენტების განვითარება საავტორო უფლებების დარღვევის ოპერატიული იდენტიფიცირებისთვის,** რაც აღკვეთს ორიგინალური კონტენტის უნებართვო გამოყენებას AI-მოდელების სწავლების პროცესში.

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ € (3-4 პროექტი)**
- **თითო: €3-4 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; იურისტები, ეკონომისტები, ტექნოლოგიური კომპანიები, შემოქმედებითი ორგანიზაციები.

შინაარსი: პროექტმა უნდა მოიცვას ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. შემოქმედებით ინდუსტრიებზე AI გავლენის **ეკონომიკური და სოციალური ანალიზი.**
2. **ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები (გამჭვირვალობა და ნდობა):** სისტემების შექმნა რომელიც ამოიცნობს, არის თუ არა კონტენტი AI-ის მიერ შექმნილი და ინსტრუმენტი, რომელიც აკონტროლებს ავტორის „თანხმობას და კომპენსაციას“ ნამუშევრის გამოყენებაზე.
3. **რეკომენდაციების შემუშავება** კანონმდებლებისთვის საავტორო უფლებების დასარეგულირებლად AI-ის ეპოქაში.
4. **ახალი ბიზნეს-მოდელების შექმნა** AI კომპანიებისა და ხელოვანების ურთიერთთანამშრომლობაზე.

HORIZON-CL2-2026-01-HERITAGE-05: Creative alliances: Fostering global partnerships in cultural policies and CCI innovation

შემოქმედებითი ალიანსები: გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობა კულტურულ პოლიტიკასა და ინოვაციებში

საკონკურსო თემის მიზანია დააკავშიროს ევროპა სხვა კონტინენტებს, გაცვალოს გამოცდილება და შექმნას თანამშრომლობის მოდელები.

მოსალოდნელი შედეგები

- **თანასწორი პარტნიორობა:** ევროპასა და სხვა ქვეყნებს შორის უნდა შეიქმნას თანასწორი ურთიერთობა.
- **სტრატეგიები:** უნდა შემუშავდეს გეგმა, როგორ გამოიყენოს ევროკავშირმა კულტურა საგარეო პოლიტიკაში.

შინაარსი: უნდა აირჩიოთ **ერთი** ქვემოთ მოცემული ორი მიმართულებიდან:

1.ინოვაცია საზღვრებს მიღმა (ეკონომიკური კუთხე): ევროპული გამოცდილების გაზიარება (ციფრული ტექნოლოგიები, მწვანე ეკონომიკა, ეთიკური AI) პარტნიორ ქვეყნებთან; ისეთი ეკოსისტემის შექმნა, სადაც ევროპული და არაევროპული კომპანიები ითანამშრომლებენ; ახალი ბაზრების მოძიება კრეატიული პროდუქტებისთვის.

2.კულტურული ურთიერთობები მედეგობისთვის (დიპლომატიური კუთხე): ხელოვნების გამოყენება მშვიდობისა და დიპლომატიისთვის. უთანასწორო ურთიერთობების გამოსწორება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის.

ორივე შემთხვევაში, პროექტმა უნდა განახორციელოს **საპილოტე პროექტები:** რეალური გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი ფესტივალები, სახელოვნებო კოლაბორაციები ან ტექნოლოგიური პლატფორმები, რომლებიც რეალურად იმუშავებს პარტნიორ რეგიონებში.

პირობები

- **RIA**
- **15 მლნ € (4 პროექტი)**
- **თითო: €3-3.75 მლნ**

მონაწილეები:

აფრიკა, იაპონია, კორეა, **ლათინური ამერიკა, სამხრეთ - აღმოსავლეთ აზია.**

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები, კრეატიული ინდუსტრიის წარმომადგენლები, ხელოვანთა გაერთიანებები.

HORIZON-CL2-2026-01-HERITAGE-06: Safeguarding linguistic diversity in Europe

ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა ევროპაში

საკონკურსო თემის მიზანი: **ეთნოლინგვისტური მდგრადობის უზრუნველყოფა** გლობალიზაციის პირობებში. მასობრივი ტურიზმის, მიგრაციისა და საბინაო კრიზისის გავლენის ანალიზი ლოკალურ ენობრივ ეკოსისტემებზე და მცირე ენების „ციფრული გაუჩინარების“ პრევენცია მათი ციფრული შესაძლებლობების განვითარებით.

მოსალოდნელი შედეგები

- **ენობრივი მრავალფეროვნების დაცვისა და მხარდაჭერის სამართლებრივი ჩარჩოების შემუშავება,** რაც უზრუნველყოფს მცირე და საფრთხის ქვეშ მყოფი ენების სახელმწიფოებრივ დაცვას.
- **ენის შენარჩუნების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება** და მათი ადაპტირება ადგილობრივ კონტექსტში.
- **ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერება და თაობათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა** ენობრივი მემკვიდრეობის გადასაცემად.

შინაარსი:

ეკონომიკური ფაქტორების, დემოგრაფიული ცვლილებებისა და მიგრაციული პროცესების გავლენის შესწავლა **ენის გაქრობის** ტემპსა და დინამიკაზე.
AI და ციფრული პლატფორმების ინტეგრირება ენობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნების, დოკუმენტირებისა და პოპულარიზაციის პროცესში.
მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის კავშირის კვლევა ინდივიდის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, სოციალურ კეთილდღეობასა და უსაფრთხოების განცდასთან.
არაფორმალური განათლების მეთოდების შემუშავება ენის შესასწავლად იმ გარემოში, სადაც ფორმალური სასკოლო ინფრასტრუქტურა მიუწვდომელია (ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაცემა).
თანამედროვე ვიზუალური რუკების და მონაცემთა ბაზების შექმნა, რომლებიც ასახავს ენების გავრცელების არეალს, მათ სტატუსსა და სიცოცხლისუნარიანობის ხარისხს.

პირობები

- **RIA**
- **11.5 მლნ € (2 პროექტი)**
- **თითო: €5-5.75 მლნ**

კასკადური გრანტები: მაქსიმუმ 60,000 ევრო.

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; ლინგვისტები, მუზეუმმცოდნეები, სოციოლოგები, დემოგრაფები, გეოგრაფები (რუკების შესაქმნელად), ტექნოლოგიური ექსპერტები, NGO-ები, ადგილობრივი თემები.

HORIZON-CL2-2026-01-HERITAGE-07: Preventing and fighting illicit trafficking of cultural goods

კულტურული ფასეულობების უკანონო ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა

საკონკურსო თემის მიზანია გააერთიანოს **პოლიცია/საბაჟო** და **მეცნიერები (არქეოლოგები/ ხელოვნებათმცოდნეები)**, რომ მათ ერთობლივად შეძლონ ზემოთ აღნიშნული დანაშაულის აღკვეთა თანამედროვე ტექნოლოგიების (AI) გამოყენებით.

მოსალოდნელი შედეგები

- **სამართალდამცავებს** ექნებათ უკეთესი წვდომა დაზვერვის მონაცემებზე და შეეძლებათ საზღვრის კვეთისას ნივთების უკეთ კონტროლი.
- შეიქმნება **ტრენინგების ეკოსისტემა**, რომელიც მუდმივად გადაამზადებს კადრებს.
- შემუშავდება **გრძელვადიანი თანამშრომლობის გეგმა**, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგაც იმუშავებს.

შინაარსი:

მონაცემთა გაცვლა: ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლა სხვადასხვა ქვეყნის პოლიციასა და მუზეუმებს შორის. მონაცემთა ბაზების ინტეგრაცია.
ტრენინგები: სასწავლო მასალების შექმნა პოლიციელებისა და მებაჟეებისთვის, რომ მათ შეძლონ მოპარული არტეფაქტების ამოცნობა (მაგ: როგორ გავარჩიოთ ორიგინალი ყალბისგან).
ტექნოლოგიები: AI და მანქანური სწავლების გამოყენება „დარკ ვებზე“ (Dark Web) მოპარული ნივთების გასაყიდი განცხადებების აღმოსაჩენად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ომის შედეგად დაზარალებულ რეგიონებს და იქიდან გამოტანილი ნივთების გადარჩენას.

პირობები

- **CSA**
- **5 მლნ € (1 პროექტი)**
- **თითო: €4,5-5 მლნ**

მინიმუმ 3 უსაფრთხოების სფეროს პრაქტიკოსი ორგანიზაცია: პოლიცია, საბაჟო, საზღვრის დაცვა, პროკურატურა და ა.შ. 3 სხვადასხვა ევროპული ქვეყნიდან.
მინიმუმ 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: რომლებიც მუშაობენ კულტურული მემკვიდრეობის ტრეფიკინგის თემაზე (მაგ: არქეოლოგიის ინსტიტუტი, მუზეუმების გაერთიანება).
მონაწილეობა და დაფინანსების მიღება შეუძლიათ ორგანიზაციებს **არაასოცირებულ მესამე ქვეყნებიდანაც**.

კასკადური გრანტები მაქსიმუმ **60,000 ევრო** თითოეულზე.

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-02: Open topic: Strengthen Europe's social model and sustainable competitiveness through productivity

ღია თემა: ევროპის სოციალური მოდელისა და მდგრადი კონკურენტუნარიანობის გაძლიერება პროდუქტიულობის ზრდის გზით

საკონკურსო თემის მიზანი: **ეკონომიკური პროდუქტიულობის, სოციალური კეთილდღეობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის ჰარმონიზაცია.**

მოსალოდნელი შედეგები

- **ახალი კონცეფცია:** მეცნიერულად გაანალიზებული „მდგრადი კონკურენტუნარიანობის“ მოდელი.
- **კონკრეტული რეკომენდაციები და გეგმები** მთავრობებისთვის, თუ როგორ გაზარდონ შრომის ნაყოფიერება (პროდუქტიულობა), შეინარჩუნონ მაღალი ხელფასები და დაიცვან გარემო ერთდროულად.

შინაარსი:

ეკონომიკის ანალიზი **ოთხი მთავარი** ფაქტორის ფონზე:

1. **გეოპოლიტიკური ძვრები** და **გლობალური ვაჭრობის ტრანსფორმაცია.**
2. **დემოგრაფიული ცვლილებები:** პროდუქტიულობის შენარჩუნება შემცირებული სამუშაო ძალის პირობებში.
3. **ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია:** ავტომატიზაცია და AI.
4. **კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.**

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ € (3-4 პროექტი)**
- **თითო: 3-4 მლნ €**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები; სოციალური პარტნიორები (პროფკავშირები, დამსაქმებელთა ასოციაციები); ეკონომისტები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, საჯარო პოლიტიკის ექსპერტები.

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-03: Tackling child poverty and ensuring disadvantaged children's access to Early Childhood Education and Care

ბავშვთა სიღარიბის დაძლევა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა

მოსალოდნელი შედეგები

- **გადაწყვეტილების მიმღები პირების უზრუნველყოფა კომპლექსური ანალიტიკით** ბავშვთა სიღარიბის სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯებისა და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში (ECEC) განხორციელებული ინვესტიციების მაღალი ფისკალური უკუგების (ROI) შესახებ.
- **პრაქტიკული მეთოდოლოგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება** სოციალურად დაუცველ და პრივილეგირებულ ჯგუფებს შორის საგანმანათლებლო ხელმისაწვდომობის დისბალანსის აღმოსაფხვრელად, რაც საფუძველს ჩაუყრის სოციალური უთანასწორობის გრძელვადიან შემცირებას.

შინაარსი:

კვლევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ ძირითად განზომილებაზე:

- **ბავშვთა სიღარიბის მაკროეკონომიკური ღირებულება:** რა ფინანსურ ზარალს განიცდის სახელმწიფოს ეკონომიკა და სოციალური სისტემა ბავშვთა სიღარიბის შედეგად (ჯანდაცვისა და სოციალური ხარჯების ზრდა, დაკარგული საგადასახადო შემოსავლები).
- **სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში (ECEC) ინვესტიციის უკუგება:** გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური ეფექტების გაზომვა, რაც ადასტურებს, რომ მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდება სახელმწიფო ბიუჯეტის კუთხით (ფისკალური) მომგებიანი სტრატეგიაა.“

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ €**
- **თითო: €3-4 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; ეკონომისტები, სოციოლოგები, განათლების ექსპერტები. მნიშვნელოვანია პროექტში ჩართული უნდა იყვნენ თავად **მოწყვლადი ოჯახები და ბავშვები.**

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-04: The impact of the use of digital tools outside school and for communication on educational outcomes and mental health

ციფრული ინსტრუმენტების სკოლის მიღმა და საკომუნიკაციო მიზნით გამოყენების გავლენა სწავლის შედეგებსა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე

ტერმინი ციფრული **გონების გაფანტვა** (Digital Distraction) ამ პროექტის ცენტრალური ცნებაა. კვლევამ უნდა აჩვენოს, სად გადის ზღვარი სასარგებლო ტექნოლოგიასა და მავნე დამოკიდებულებას შ[illegible]ის.

მოსალოდნელი შედეგები:

- **გავლენის ანალიზი:** ციფრული გართობის (სოციალური მედია, თამაშები) კავშირი ახალგაზრდების აკადემიურ მოსწრებასთან, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან.
- **რეგულირების პოლიტიკა:** მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შექმნა სკოლებში ციფრული მოწყობილობების არააკადემიური მიზნით გამოყენების სამართავად.
- **ჯანსაღი მოხმარების ხელშეწყობა:** გზამკვლევების მომზადება მოსწავლეთა მიერ ტექნოლოგიების ბალანსირებული და უსაფრთხო გამოყენებისთვის სკოლასა და სახლში.
- **კოგნიტური და სოციალური ფაქტორები:** ციფრული კომუნიკაციის გავლენა ყურადღების კონცენტრაციაზე, მოტივაციაზე, დროის მართვასა და სოციალურ ინტეგრაციაზე.

შინაარსი:

სოციალური მედიის გავლენა რთული ტექსტების აღქმისა და ხანგრძლივი ყურადღების კონცენტრაციის უნარზე.
ციფრული დამოკიდებულების მიზეზები: აპლიკაციების დიზაინისა (ინტერფეისი, ალგორითმები) და მომხმარებლის ფსიქოლოგიური ფაქტორების როლი მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაში.
პოზიტიური გავლენის პოტენციალი: ციფრული გართობის შესაძლებლობა პრობლემის გადაჭრის უნარებისა და ტექნოლოგიური წიგნიერების გასავითარებლად.
მშობელთა როლი: კავშირი მშობლების ციფრულ კომპეტენციასა და შვილების ონლაინ ქცევის მოდელებს შორის.

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ €**
- **თითო: €3-4 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები: ფსიქოლოგები, განათლების სპეციალისტები, ნეირომეცნიერები.

სკოლები და საგანმანათლებლო რესურსცენტრები, მედია-წიგნიერების ორგანიზაციები, ტექნოლოგიური კომპანიები.

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-05: Contribution of basic skills to productivity, innovation, competitiveness and economic growth

ბაზისური უნარების წვლილი პროდუქტიულობაში, ინოვაციებში, კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაში

საკონკურსო თემის მიზანი: **პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ბაზისურ კომპეტენციებსა** (მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ციფრული წიგნიერება და ა.შ.) **და ქვეყნის მაკროეკონომიკურ პროდუქტიულობას შორის**

მოსალოდნელი შედეგები

- **ეკონომიკური გავლენა:** როგორ აისახება საბაზისო უნარები პროდუქტიულობაზე, ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობაზე.
- **უთანასწორობის შემცირება:** გენდერული, შშმ პირებისა და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით არსებული ნაპრალების აღმოფხვრა უნარების ათვისების პროცესში.
- **პრაქტიკული რჩევების მომზადება** განათლების სისტემების გასაუმჯობესებლად.

შინაარსი:

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი: როგორ აისახება უნარები პროდუქტიულობაზე როგორც ინდივიდუალურ (მიკრო), ისე ქვეყნის (მაკრო) დონეზე.
უნარების ურთიერთქმედება: როგორ ეხმარება სოციალურ-ემოციური უნარები (მაგ. კომუნიკაცია, თვითმართვა) ბაზისურ უნარებს ეკონომიკური შედეგის მოტანაში.
განათლების საფეხურები: კვლევამ უნდა მოიცვას ყველა ეტაპი — სკოლიდან და პროფესიული განათლებიდან ზრდასრულთა სწავლებამდე.
ხელოვნური ინტელექტი (AI): რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, რომ AI-ხელსაწყოები ეფექტურად გამოიყენონ სასწავლო პროცესში.
სპეციფიკური გამოწვევები: ქალების მეტი ჩართულობა STEM-ში, მასწავლებლების დეფიციტი და შშმ პირებისთვის ბარიერების მოხსნა.

პირობები

- **RIA**
- **12 მლნ €**
- **თითო: €3-4 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით; ეკონომისტები, განათლების სპეციალისტები, მონაცემთა ანალიტიკოსები, საჯარო უწყებები.

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-06: Making Europe a global magnet for talent - Attracting and retaining students, researchers and high-skilled workers from outside the EU

ევროპის ქცევა ტალანტების გლობალურ მიზიდულობის ცენტრად – ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან სტუდენტების, მკვლევრებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნება

მოსალოდნელი შედეგები

- **მიზეზების კვლევა:** იმ ფაქტორების მეცნიერული შესწავლა, რაც განაპირობებს არაწევრი ქვეყნებიდან ნიჭიერი კადრების ევროპაში ჩამოსვლასა და დარჩენას.
- **მოზიდვის სტრატეგია:** უნივერსიტეტებისა და პოლიტიკოსებისთვის პრაქტიკული ინსტრუქციების მომზადება, თუ როგორ გახადონ ევროპა უფრო მიმზიდველი საუკეთესო სტუდენტებისა და მკვლევრებისთვის.
- **შენარჩუნება და გავლენა:** რეკომენდაციების შექმნა კადრების ევროკავშირში ხანგრძლივად დასატოვებლად, რაც გაზრდის რეგიონის ინოვაციურობასა და კონკურენტუნარიანობას.
- **ბარიერების მოხსნა:** მიგრაციული პროცესების გამარტივება, ბიუროკრატიის შემცირება და მობილობის მოქნილი სქემების მხარდაჭერა კვლევისა და კულტურული გაცვლის სფეროებში.

პირობები

RIA

- **10 მლნ € (3 პროექტი)**
- **თითო: €3-3.30 მლნ**

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; ინდუსტრია და ბიზნეს სექტორი; სოციალური პარტნიორები.

შინაარსი: ძირითადი საკვლევი მიმართულებები:

გადაწყვეტილების მიმღები ფაქტორები: აკადემიური ხარისხი, კარიერული პერსპექტივა, კულტურული მიმზიდველობა, პოლიტიკური კონტექსტი, დაფინანსება, ხელფასები და ცხოვრების ხარისხი.

შენარჩუნების მექანიზმები: საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში კადრების ევროპაში დატოვების გზები.

ჰუმანიტარული მიგრანტები: უკვე ევროკავშირში მყოფი ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების პროფესიული პოტენციალის მობილიზება.

ინტეგრაცია: ოჯახების გაერთიანების პოლიტიკა და ინოვაციური ეკოსისტემების მხარდაჭერა.

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-07: Fostering competences for the green transition

მწვანე ტრანზიციისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა

საკონკურსო თემის მიზანი: მტკიცებულებებზე დაფუძნებული **გზამკვლევი შექმნა მწვანე კომპეტენციების განსასაზღვრად** და მოახდინოს **სასწავლო კურიკულუმების სინქრონიზაცია შრომის ბაზრის ევოლუციურ საჭიროებებთან**.

მოსალოდნელი შედეგები

- პოლიტიკოსებისთვის იმ **უნარების მკაფიო ჩამონათვალის** მიწოდება, რაც სჭირდება **სამუშაო ძალას ბუნებრივი ეკოსისტემების დასაცავად.**
- **რეკომენდაციები სასწავლო პროგრამების ტრანსფორმაციისთვის**, გენდერული და შშმ პირთა ასპექტების გათვალისწინებით.
- **ინკლუზიური პროფესიული მომზადება.**
- **„ მწვანე და ციფრული სინერგია (Twin Transition):** გზამკვლევი, თუ როგორ დავაკავშიროთ მწვანე და ციფრული უნარები ერთმანეთს.

შინაარსი:

კვლევა უნდა ფოკუსირდეს ჩამოთვლილი ერთ-ერთი სექტორული მიმართულების სიღრმისეულ ანალიზზე:

- ✓ **მდგრადი სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების წარმოება;**
- ✓ **ავტოინდუსტრია;**
- ✓ **ენერგეტიკა;**
- ✓ **მშენებლობა;**
- ✓ **ბუნებისა და კლიმატის ადაპტაცია.**

პირობები

- **12 მლნ € (3-4 პროექტი)**
- **RIA**
- **თითო: €3-4 მლნ**

სავალდებულოა კოორდინაცია **ახალი ევროპული ბაუჰაუს (NEB)** ინიციატივასთან და სხვა შესაბამის ჰორიზონტის პროექტებთან.

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები, პროფესიული კოლეჯები (VET), განათლების ეკონომისტები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები, პროფკავშირები და დამსაქმებელთა ასოციაციები შერჩეული სექტორიდან; განათლებისა და შრომის სამინისტროები, დასაქმების სააგენტოები; ციფრული ინსტრუმენტების შემქმნელები უნარების შესაფასებლად; ტრენინგ-ცენტრები. სოციალური პარტნიორები.

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-08: Strengthened implementation of the EU Pact on Migration and Asylum and a focus on inclusion, integration, and health

მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ ევროკავშირის პაქტის იმპლემენტაციის გაძლიერება ინკლუზიის, ინტეგრაციისა და ჯანდაცვის პრიორიტეტულობით

პირობები

- **12 მლნ €**
- **RIA**
- **თითო: €3-4 მლნ**

საკონკურსო თემის მიზანი: **მიგრაციის მართვის სამართლიანი მექანიზმების შემუშავება, ლეგალური მიგრაციის გზების გაუმჯობესება და მიგრანტთა (მათ შორის ლტოლვილთა) სოციალური, ჯანდაცვითი და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება.**

მოსალოდნელი შედეგები პროექტი უნდა პასუხობდეს ერთ-ერთს: ა (1+2) ან ბ (3+4):

- **ევროკავშირის მიგრაციისა და თავშესაფრის პაქტის იმპლემენტაციის გაუმჯობესება**, მათ შორის არასრულწლოვანთა ასაკის შეფასებისა და განსახლების ჩარჩოების ოპტიმიზაცია სამართლიანი მმართველობისთვის.
- **წრიული და მუდმივი მიგრაციის სქემების ანალიზი** ევროკავშირის ქვეყნების საჭიროებებისა და პარტნიორი ქვეყნების პოტენციალის გათვალისწინებით.
- **მიგრანტთა ჯანმრთელობის მონაცემების ინტეგრირება ეროვნულ სისტემებში** და ბარიერების აღმოფხვრა სანიტარულ თუ სამედიცინო სერვისებზე თანაბარი წვდომისთვის.
- **გრძელვადიანი სოციალური ინკლუზიის პოლიტიკის ფორმირება**, რაც მოიცავს შრომის ბაზარს, განათლებას, კვალიფიკაციის აღიარებას და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

რეკომენდებულია მიგრანტებისა და ლტოლვილების უშუალო ჩართვა კვლევის პროცესში. მუნიციპალიტეტების კერძო სექტორისა და არასამთავრობო აქტორების მონაწილეობა.

შინაარსი:

პაქტის კომპონენტების ანალიზი: სოლიდარობის მექანიზმები, არასრულწლოვანთა ასაკის შეფასება, კრიზისების მართვა და ჰუმანიტარული მიღების ჩარჩოები.

ჯანდაცვის სისტემების ინტეგრაცია: მიგრანტთა ჯანმრთელობის შესახებ მონაცემთა ფრაგმენტაციის აღმოფხვრა, ბარიერების იდენტიფიცირება და ჯანდაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გრძელვადიანი სოციალური ინკლუზია: შრომის ბაზარზე წვდომა, განათლება, კვალიფიკაციის აღიარება, საცხოვრებელი პირობები და ენობრივი კომპეტენციები.

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-09: Rethinking long-term care policy in the face of EU demographic shifts

გრძელვადიანი ზრუნვის პოლიტიკის რეფორმირება ევროკავშირის დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე

საკონკურსო თემის მიზანი: **ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი და ფინანსურად მდგრადი ზრუნვის სისტემების შექმნა** მზარდი დემოგრაფიული ცვლილებებისა და სამუშაო ძალის დეფიციტის პირობებში.

მოსალოდნელი შედეგები პროექტი უნდა პასუხობდეს ერთ-ერთს: ა (1+2) ან ბ (3+4):

- არსებული ნაციონალური და რეგიონული გრძელვადიანი ზრუნვის (LTC_Long-Term Care) პოლიტიკის ეფექტიანობისა და **მდგრადობის შეფასება**.
- პოლიტიკის შემქმნელებისთვის **სამეცნიერო ცოდნისა და მონაცემების მიწოდება,** რომ ზრუნვა იყოს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და რესურს-ეფექტური.
- **ახალი მოდელების შეთავაზება,** რომლებიც უზრუნველყოფენ "გლუვ" გადასვლას ფორმალურ (ინსტიტუციურ) და არაფორმალურ (ოჯახურ) ზრუნვას შორის, აქტიური დაბერების პრინციპების გათვალისწინებით.
- **რეფორმების დაგვიანების ზიანის გაზომვა.**

შინაარსი:

პროექტი უნდა დაიყოს რამდენიმე კვლევით და პრაქტიკულ მიმართულებად:
პროგნოზირება 2070 წლამდე: მინიმუმ 15 წევრ ქვეყანაში უნდა მოხდეს ზრუნვის საჭიროებების, სამუშაო ძალის დეფიციტისა და საჭირო დაფინანსების მოდელირება.
უნდა გაიზომოს, რა დაუჯდება ეკონომიკასა და საზოგადოებას რეფორმების დაგვიანება.
ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებების (მათ შორის AI-ს) და სოციალური ინოვაციების ინტეგრირება ზრუნვის სექტორში.
სამუშაო ძალის მიმზიდველობა: სამუშაო პირობების გაუმჯობესება, სოციალური დაცვა.

პირობები

- **15 მლნ €**
- **RIA**
- **თითო: €3.75 მლნ**

მონაწილეები:

სოციოლოგები, ეკონომისტები და დემოგრაფები,
AI და ციფრული გადაწყვეტილებების შემქმნელები;
სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ზრუნვას.
პოლიტიკის შემფასებლები და გადაწყვეტილების მიმღები პირები;
EOSC-ის და სოციალური მეცნიერებების მონაცემთა ბაზების ექსპერტები.

LTC პოლიტიკა - სახელმწიფოებრივი და ინსტიტუციური სტრატეგიების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია იმ ადამიანების მხარდაჭერაზე, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობების გამო **დამოუკიდებლად ფუნქციონირება (**მათ შორის დემენცია, ალცჰაიმერი **)** აღარ შეუძლიათ.

HORIZON-CL2-2026-01-TRANSFO-10: Fostering cooperation and integration between SSH and STEM research and innovation in the EU

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა (SSH) და საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიურ, საინჟინრო და მათემატიკურ (STEM) დისციპლინებს შორის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის გაძლიერება ევროპულ კვლევით სივრცეში.

პირობები

- **3.5 მლნ €**
- **CSA**

მოსალოდნელი შედეგები

- **SSH და STEM დარგების ღრმა ინტეგრირება** ევროკავშირისა და ეროვნული დონის კვლევით ინიციატივებში.
- **ახალი, ყოვლისმომცველი „მონიტორინგისა და გავლენის შეფასების ჩარჩოს“ დანერგვა.**
- დარგთაშორისი თანამშრომლობის შედეგად მიღებული **ცოდნის ეფექტური გამოყენება** ევროპული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

მონაწილეები:

უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები

აუცილებელია SSH ექსპერტების ჩართულობა და თანამშრომლობა მე-2 კლასტერის ევროპულ პარტნიორობებთან.

შინაარსი: პროექტი უნდა ჩამოყალიბდეს როგორც **SSH-STEM სამოქმედო პლატფორმა**, რომელიც მოიცავს სამ ძირითად სვეტს:

1. მონაცემებზე დაფუძნებული **ახალი სტრატეგიის შემუშავება** (მაგ. AI საძიებო ინსტრუმენტების გამოყენებით) **დარგებს შორის თანამშრომლობის ხარისხის შესაფასებლად.**
2. **გზამკვლევების შემუშავება** მკვლევრებისათვის, ტრენინგების ორგანიზება და ყოველწლიური ღონისძიებები საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად.
3. ევროკომისიისთვის **საკონსულტაციო ფუნქციის შესრულება და დიალოგის წარმართვა კვლევების დამფინანსებელ ორგანიზაციებთან** (ERA-ს ფარგლებში).

Forthcoming HORIZON-CL2-2026-01 Calls

European Commission | EU Funding & Tenders Portal

Sign in EN

Home | Funding | Procurement | Projects & results | News & events | Work as an expert | Guidance & documents | Search...

Home > Funding > Calls for proposals

Calls for proposals

Calls for proposals are funding opportunities issued by the European Union institutions, agencies and bodies. These are direct financial contributions, known as grants, that are awarded to third-party beneficiaries (e.g., research organisations, public entities, non-governmental organisations, and private companies) to engage in activities that serve EU policies.

More details

Filters

Quick search

Select...

2021 - 2027

Horizon Europe (HORIZON)

HORIZON-CL2-2026-01

Forthcoming

- [x] Forthcoming (26)
- [ ] Open for submission
- [ ] Closed

GRANTS RECOMMENDED FOR YOU

Do you want to receive personalised recommendations? Log in to your F&T profile to activate them, or register an account

26 item(s) found

Opening date

Programme Horizon Europe (HORIZON)

Governing global commons sustainably

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-06 | Calls for proposals

Opening date: **11 May 2026** | Deadline date: **22 September 2026** | Single-stage

Forthcoming

Programme: **Horizon Europe (HORIZON)** | Type of action: **HORIZON Research and Innovation Actions**

Government in transition – how governments change the way they work and prepare the civil service for the future

HORIZON-CL2-2026-01-DEMOCRACY-03 | Calls for proposals

Opening date: **11 May 2026** | Deadline date: **22 September 2026** | Single-stage

Forthcoming

Programme: **Horizon Europe (HORIZON)** | Type of action: **HORIZON Research and Innovation Actions**

Activate Windows
Go to Settings to activate Windows.

Horizon Europe info days - Cluster 2 Culture, creativity and inclusive society

Cluster 2 info day

გმადლობთ ყურადღებისთვის!

ელ. ფოსტა: tberberasvili@mes.gov.ge